„თქვენს თავს ვფიცავარ„-ის ავტორი კვლავ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს

გვ. 2

ფოთის მაჟორიტარობისთვის 15 კანდიდატი იბრძოლებს

გვ. 2

ჭოპორი თავსაჯიჯგნელში

ფასი 50 თეთრი № 21 19-26 სექტემბერი 2016 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ირაკლი ხახუბია: „არასოდეს ვყოფილვარ კაცის კაცი...„

გვ. 3

ფოთელი კანდიდატების შეხედულება და დაპირებები ნავსადგურის თემაზე

გვ. 4

ფრიდონ კვარაცხელია: „ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს, რომელი დეპუტატი რა ძალასთან დგას„

გვ. 5

გაზეთი საარჩევნო რეკლამისთვის გვერდებს დაუთმობს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და მაჟორიტარ კანდიდატებს. დაგვიკავშირდით:

ქ. ფოთი, წმინდა ნინოს № 3

ტელ: (0493) 22 25 80, 599 34 14 17

განათავსეთ რეკლამა ჩვენთან!!!

ფოთში ოპოზიციონერები ამომრჩეველთა სიების უზუსტობებზე საუბრობენ

ინგა გვასალია
ფოთი

ფოთის ოპოზიციური პარტიები ამომრჩეველთა სიებს აკრიტიკებენ და ამტკიცებენ,რომ სიები, მრავალჯერადი მცდელობის მიუხედავად, არასრულყოფილია, „მკვდარი სულები“ კი არჩევნებში ისევ „მონაწილეობენ“.

სიების დაზუსტების ვადა 22 სექტემბერს იწურება. მანამდე, ამომრჩეველს აქვს შესაძლებლობა, შეამოწმოს არის თუ არა საარჩევნო სიაში და არარსებობის შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს საუბნო ან საოლქო კომისიას.

ბურჭულაძის პარტია – “სახელმწიფო ხალხისთვის” ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენელი, ზაურ კინტირაია ამბობს: „სიები ჯერ დამუშავების პროცესშია და საბოლოო სახე არ აქვს. უამრავი გარდაცვლილი ადამიანი არ გახლავთ ამოღებული, რაც ხარვეზების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. სიების დამუშავების პროცესში, აღმოჩნდნენ ისეთი ამომრჩევლები,რომლებიც საერთოდ არ ცხოვრობენ რეგისტრაციის ადგილზე“.

იგივე პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას „ნაციონალური მოძრაობის“ ფოთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ვახტანგ დარცმელიძე: „ჩვენი პარტიაც კოორდინატორების მეშვეობით აქტიურად მუშაობს სიების დაზუსტებასა და ხარვეზების აღმოფხვრაზე. მიცვალებულების სიებში ყოფნა, უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და გამოუსწორებელ პრობლემად რჩება. სიებში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საერთოდ არ ცხოვრობენ ფოთის ტერიტორიაზე, მეტიც, სიებში გვხვება ასევე არარსებული მისამართები. არიან ისეთ ამომრჩევლებსაც,რომლებიც წინა არჩევნებზე სიებში იყვნენ, ახლა კი ვეღარ იპოვეს თავისი თავი. ჩვენ მათ ვურჩევთ,თავიდან დარეგისტრირდნენ ამომრჩევლებად,რათა

დასასრული 2 გვ.

კოლხეთის ეროვნული პარკი-ტურისტთა დაინტერესების საგანი

გვ. 5

მინაზე საკუთრების რეგისტრაცია გამარტივდა

გვ. 3

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ინგაგვასალია გმაილ. ცომ

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია - 568 61 04 41

დისტრიბუციის სამსახური
მარი ალიხანაშვილი 551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 241 122

ნანუკა ქაჯაია (ფოთი) 571 323 539

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2016 წლისთვის 20 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია. და ზღრულ

ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ფოთში ოპოზიციონერები ამომრჩეველთა სიების უზუსტობებზე საუბრობენ

დასაწყისი პირველ გვერდზე

შეძლონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოხდა. ვიცით, რომ ასეთი არც ერთი ამომრჩეველი ჯერჯერობით სიაში არ შეუყვანიათ. როგორც კი დავასრულებთ სიებში არსებული ხარვეზების შესწავლას, ჩვენი პარტია ბრიფინგის მეშვეობით გააცნობს ამ ხარვეზებს საზოგადოებას".

დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც ანალოგიურ ფაქტებზე საუბრობენ და იმასაც ამატებენ, რომ საოლქო კომისია ამ ხარვეზების არათუ გამოსწორებას აპირებს, საერთოდ არ რეაგირებს ოპოზიციონერთა შენიშვნებზე.

როგორც №1 საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ზაზა ღადუა ამბობს, კომისიის წევრებმა საინფორმაციო ბარათები უკვე დაარიგეს. სიებში არსებულ ხარვეზებზე თავადაც საუბრობს. როგორც მან აღნიშნა: „არის შემთხვევები, როცა რეგისტრირებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს ამომრჩეველი, რადგან ბინა გაყიდული აქვს. ასეთ ფაქტებს შემდეგი რეაგირებისთვის საოლქოს ვატყობინებთ. ასეთი ასამდე შემთხვევა აღმოვაჩინეთ. ჩვენს უბანზე 1461 ამომრჩეველი გახლავთ რეგისტრირებული. არ გვქონია შემთხვევა, ამ უბანზე მცხოვრებ ამომრჩეველს სიაში თავისი გვარი ვერ ეპოვოს; თუმცა არის ფაქტები, რომ აქ ცხოვრობენ, მაგრამ სხვა უბანზე არიან რეგისტრირებულნი. ისინი ჩვენთან აცხადებენ პრეტენზიას – დიდი ხანია აქ ვცხოვრობთ და რატომ არ ვართ სიაშიო. ასეთებს მინდა ვუთხრა, აქ დასარეგისტრირებლად უნდა მიმართონ საოლქოს, ან, სადაც არიან რეგისტრირებულნი, იქ უნდა მიიღონ მონაწილეობა". რაც შეეხება მიცვალებულებს, ღადუას თქმით, ასეთ შემთხვევას მათ უბანზე ადგილი არ ჰქონია.

მსგავსი პრობლემა აღმოჩნდა №8 საარჩევნო უბანზე. უბნის მდივანი, ნათია მურვანიძე ამბობს, რომ ბარათების დარიგებისას, სიებში აღმოჩნდნენ მოქალაქეები, რომლებიც წლებია, საქართველოში აღარ ცხოვრობენ და ასეთ შემთხვევებს, როგორც წესი, საოლქოს აცნობებენ. მურვანიძემ ასევე ამომრჩეველთა აქტიურობაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, რამდენიმე ამომრჩეველმა უკვე გადაამოწმა სიაში საკუთარი მონაცემები.იყო შემთხვევებიც, როცა ამომრჩეველს ტექნიკური ხარვეზის გამო, ბარათი არ მიუვიდა, მაგრამ საარჩენო სიაში რეგისტრირებულია.

№30 სარჩევნო უბნის მდივნის ქრისტინე ედიბერიძის თქმით: „უბანზე 1300 ამომრჩეველია. აქედან 250 ბარათი მისამართების უზუსტობის ან მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო, საოლქოში დაბრუნდა. სხვა მისამართზე რეგისტრირების ორადორი შემთხვევა აღმოჩნდა. რაც შეეხება მიცვალებულებს, ასეთი ერთი შემთხვევაა, როცა ამომრჩეველი უკვე ბარათების დარიგების შემდეგ გარდაიცვალა, მაგრამ განცხადებით არავინ შემოსულა".

№70 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სალომე როდონაია არ უარყოფს სიებში არსებულ ხარვეზებს: „ჩვენ ვიცით სიებში არსებული ხარვეზების შესახებ. მაგალითად, რამდენიმე ბარათი დაბრუნდა რეგისტრაციისა და საცხოვრებელი ადგილის შეუსაბამობის გამო. გვაქვს ასევე, რამდენიმე ამომრჩევლის განცხადება სიაში არარსებობის პრეტენზიის შესახებ. რაც შეეხება მიცვალებულთა არსებობას – მათი სიიდან ამოღება ჩვენს კომპეტენციას ცილდება. თუ ოჯახის წევრმა განცხადებით არ მიმართა რეესტრს ან საოლქოს, ისევ სიაში იქნება. ხარვეზების შესახებ საუბნო კომისიები ყოველდღიურად გვაწვდიან ინფორმაციებს და ჩვენც, ჩვენი მხრიდან, ცეესკო-ს ვაცნობებთ. როგორც იცით, 22 სექტემბრამდე ხდება სიების გასწორება და მერე, ანუ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, სიების საბოლოო ვარიანტს გამოგვიგზავნიან".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2016 წლის 22 სექტემბერამდე, ამომრჩეველს საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეუძლია ცეესკო-ს ვებგვერდზე. უზუსტობის აღმოჩენისას, შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს და ცვლილების შეტანა მოითხოვოს.

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი– დემოკრატიის ფუნდამენტი" ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ბურჭულაძემ სამეგრელოს რეგიონში საარჩევნო კამპანია ფოთში დაასრულა

„ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის" ლიდერი პაატა ბურჭულაძე ფოთელ ამომრჩეველს შეხვდა და თავისი პოლიტიკური ხედვები გააცნო. ამავე დროს მან დამსწრე საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა მაჟორიტარობის კანდიდატი კოტე კემულარია. როგორც ბურჭულაძემ აღნიშნა, ფოთში შეხვედრით მან დაასრულა სამეგრელოს რეგიონში საარჩევნო კამპანია. „ხალხი ძალიან მონდომებულია უკეთესობისკენ შეიცვალოს ყველაფერი და არჩევნების დიდი იმედი აქვს. ჩვენი პარტია ამ იმედებს გაამართლებს და ამ მთავრობას გაისტუმრებს მშვიდად, წყნარად და ყველაფერი მართლაც უკეთესად იქნება"- განაცხადა ბუჭულაძემ შეხვედრაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ არ ელოდა ფოთელთა ასეთ სიჭარბეს შეხვედრაზე და ფრიად კმაყოფილია მათი ასეთი მხარდაჭერით. თუმცა, შეხვედრაზე რამდენიმე მიკროავტობუსით გურიის და სამეგრელოს რეგიონიდანაც გახლდათ ამომრჩეველი მობილიზებული.

ბურჭულაძე საარჩევნო კამპანიას სამეგრელოს შემდეგ გურიაში განაგრძობს.

,,თქვენს თავს ვფიცავარ,,-ის ავტორი კვლავ ხმამაღალ განცხადებებს აკეთებს

„თქვენს თავს ვფიცავარ" - ამ ფრიად პოპულარული ფიცის ავტორი, ეროვნული ფორუმის ფოთის მაჟორიტარი კანდიდატი ოთარ ხარჩილავა კვლავ ხმამაღალ განცხადებას აკეთებს: „არჩევნებში კონკურენტად მხოლოდ და მხოლოდ საკეთებელ საქმეს ვთვლი და სხვას არავის, რადგან არც ერთ კანდიდატს ჩემთან შედარებით გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია. არც მეორე ტური ჩატარდება და ოთარ ხარჩილავა დამაჯერებლად გაიმარჯვებს ამ ქალაქში. ამდენი ხალხი ვერ გამოიყვანა ვერც ერთმა პოლიტიკოსმა ფოთში. ზვიად გამსახურდიამაც კი მხოლოდ 1800 ადამიანის გამოყვანა შეძლო. რეალურად მე მებრძვის სამი ნაციონალი კანდიდატი - ბექა ბასილია ნაციონალებიდან, ბურჭულაძის პარტიიდან კოტე კემულარია, იგი შექმნა ნაციონალურმა მოძრაობამ და გარეული იყო ნაციონალების ყველა ბინძურ საქმეში და ირაკლი ხახუბია, რომელიც აფინანსებდა ნაციონალებს და 2012 წელს კარდაკარ დადიოდა ხვეწნით, რომ შემოეხაზათ №5. იგი ყველა ნაციონალურ შტაბში დაუფარავად მოძრაობდა და აგიტაციას ატარებდა მათ სასარგებლოდ". ხარჩილავამ ესოდენ პოპულარული ფიცის შესახებაც უპასუხა ჟურნალისტებს: „ ყველა ჩემი მხარდამჭერი ჩემი მეგობარია და უფლება მაქვს, მეგობრები დავიფიცო".

ფოთის მაჟორიტაროზბისთვის 15 კანდიდატი იბრძოლებს

მარი ჯავახია
ფოთი

ფოთის № 70 საოლქო-საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 52 053 ამომრჩეველია რეგისტრირებული. აქედან 41 391 ფოთელი ამომრჩეველია, ხოლო 10 662 ამომრჩეველი ოზურგეთისა და ლანჩხუთისა. ახალი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, ფოთის საოლქოს დაემატა გურიის 11 საარჩევნო უბანი, კონკრეტულად ოზურგეთის 6 და ლანჩხუთის 5 უბანი. საერთო ჯამში 43 უბანი გახდა.

წინა არჩევნებში ფოთში 41669 ამომრჩეველი იყო. ფოთის საოლქო-საარჩევნო კომისიაში მაჟორიტარობის 15 კანდიდატია წარდგენილი, აქედან 13 მამაკაცი და 2 ქალია. მხოლოდ ერთი კანდიდატია წარდგენილი საინიციატივო ჯგუფიდან, დანარჩენები პარტიებიდან გახლავთ.

42 საინიციატივო ჯგუფი – ლაშა შამათავა

26 „ეროვნული ფორუმი" – ოთარ ხარჩილავა

6 „ უსუფაშვილი – რესპუბლიკელები"- ლელა ებრალიძე

25 პ/მ „მემარცხენე ალიანსი" – კონსტანტინე გუგუშვილი

20 „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია" – აკაკი სანიკიძე

27 „ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები" – თენგიზ ჩაკვეტაძე

5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" – ბექა ბასილაია

1 „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის" – კონსტანტინე კემულარია

41 „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" – ირაკლი ხახუბია

2 მოძრაობა „თქვენთან, თქვენთვის, თქვენთან ერთად" – ზაზა მჟავია

14 „დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის" – ლაშა ქოიავა

8 „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" – ფრიდონ კვარაცხელია

23 საქართველოს ბლოკი „ჩვენები – სახალხო პარტია" – ზაზა შალამბერიძე

10 „საქართველოს ლეიბორისტული პარტია" – ზურაბ ლომია

28 „ზვიადის გზა – უფლის სახელით" – იზოლდა გრიგოლია.

ზემოთ ჩამოთვლილი კანდიდატებიდან საარჩევნო კამპანიას 6 - ლელა ებრალიძე, ოთარ ხარჩილავა, თენგიზ ჭაკვეტაძე, ბექა ბასიალაია, ირაკლი ხახუბია, ფრიდონ კვარაცხელია - აქტიურად ეწევა, დანარჩენები კი საზოგადოებისთვის კვლავაც უცნობი რჩებიან. მეტიც, ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის, მათი ოფისებიც მიუგნებელი აღმოჩნდა.

დღეისათვის ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიაში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წერილია შესული, რომელიც თავისუფალი კომიისიის წევრებისა და „ქართული ოცნების" წევრების ფარულ შეხვედრას ეხებოდა, ამას ვიდეომასალითაც ადასტურებდნენ. თუმცა, წერილი საოლქომ არ დააკმაყოფილა.

უარის მიზეზი საოლქოს განმარტებით ნაციონალური პარტიის წევრებს განემარტათ მუხლობრივად, რომ უფლება-მოვალეობა იწყებოდა პირველი სხდომიდან. მიუხედავად ამისა, ----ნაციონალურმა მოძრაობამ ცესკოში გაასაჩივრა, თუმცა ცესკომ განცხადების მიღების ვადების გასვლის გამო განცხადება განუხილველი დატოვა.

რაც შეეხება ამომრჩეველთა სიებს, ფოთის საოლქო კომისიიდან ცესკოსა და იუსტიციის სახლებში გადაგზავნილია 27 განცხადება სიების უზუსტობასთან დაკავშირებით.

ირაკლი ხახუბია: ,,არასოდეს ვყოფილვარ კაცის კაცი...,,

ივეტა პაქკორია
ფოთი

ჩვენი გაზეთი განაგრძობს მაჟორიტარი კანდიდატების თქვენთვის წარდგენას. ამჯერად „ქართული ოცნების" ფოთის მაჟორიტარობის კანდიდატს ირაკლი ხახუბიას გაგაცნობთ. ირაკლი ხახუბიას პოლიტიკაში დებიუტი პირდაპირ მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენით შედგა. კატეგორიულად არ ეთანხმება ოპონენტების აზრს, თითქოს პოლიტიკაში მისი მოსვლა ქალაქის მერთან ახლობლობამ განაპირობა - „როგორც „ქართული ოცნების" ყველა კანდიდატი, მეც ჩემი სუფთად გავლილი გზითა და საქმით შემარჩიეს" - ამბობს ახალბედა პოლიტიკოსი.

მინი დოსიე: ირაკლი ხახუბია დაიბადა 1971 წლის 15 მაისს ფოთში. სწავლობდა ფოთის №2 საჯარო სკოლაში, ოჯახის თბილისში გადასვლის შემდეგ სწავლა გაგრძელა გ. კობახიძის სახელობის 77-ე საშუალო სკოლაში, რომელიც ოქროს მედალზე დაამთავრა. სწავლობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, შემდეგ თბილისის მარკეტინგისა და ბიზნესის ინსტიტუტში. აქვს ინჟინერ-მექანიკოსისა და მენეჯერ ეკონომისტის კვალიფიკაცია. 2000-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს შემოსავლების სამსახურში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2007 წლიდან დაკავებულია ბიზნესით, არის შპს „აისბერგის" და შპს „ჯეონათის" ერთ-ერთი დამფუძნებელი.

—საუბარს დავიწყებ იმით, რომ ვარ ძირძველი ფოთელი. ზოგიერთები არაფოთელობასაც კი მაბრალებენ. მათ გასაგონად ვამბობ, რომ ჩემი დიდი ბაბუა 1913 წელსაა დაკრძალული ფოთში და ვისაც ჩემი არაფოთელობის სჯერა, შეუძლია მივიდეს ჩემს საგვარეულო სასაფლაოზე და ნახოს, ბაბუაზე ადრე სხვა ფოთელი თუა დასაფლავებული.

—თქვენც დამეთანხმებით, ქალაქში აუტანელი თევზის სუნია, თევზის გადამამუშავებელი ქარხნის ერთ-ერთი მეპატრონე ბრძანდებით, ეს პრობლემა უფრო აქტუალური გახდა თქვენი კანდიდატობის მერე, თქვენი ოპონენტებიც ამას აქტიურად სამართლიანად იყენებენ. და ქალაქში თევზის არასასიამოვნო სუნს თქვენი ქარხნის გაუმართაობას აბრალებენ. როგორ ფიქრობთ, შეუშლის თუ არა ხელს ეს საკითხი თქვენს შედეგებს არჩევნებზე ?

– ვისაც აინტერესებს,ყველას ვეპატიჟები ქარხანაში ნებისმიერ დროს. ევროსტანდარტის დონის ქარხანა მაქვს, სადაც დასაქმებულია 200 ადამიანი, რომელთა საშუალო ხელფასი 800-დან 1200 ლარამდეა. ამ ხელისუფლების დროს ბიზნესმენებმა ნამდვილად ამოვისუნთქეთ, ბიზნესი გათავისუფლებულია ყოველგვარი წნეხისგან, რამაც მომცა საშუალება 2014 წელს შემეძინა ქარხნისათვის ფილტრი, რომელიც მილიონ ნახევარი ღირს. თუმცა, სუნი ზოგჯერ მაინც იყო, ამიტომ კიდევ ერთი, 300 ათას ლარიანი დანადგარი შევიძინე. შესაბამისად, დღეს ჩემი ქარხნიდან არანაირი სუნი არ დგას ფაბრიკაში და არც ქალაქში გადის. როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ბიუჯეტში საკმაო თანხები შემაქვს გადასახადის სახით. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი დიდი გადამხდელი ვარ ქვეყნის ბიუჯეტისთვის და ამით ძალიან ვამაყობ.

– თქვენი აზრით, როგორ უნდა განვითარდეს ფოთი და თქვენ რა როლს შეასრულებთ თქვენი ქალაქის განვითარებაში თქვენი პარლამენტარობის შემთხვევაში?

—ფოთში რაც შეიძლება მეტი კერძო ბიზნესი უნდა განვითარდეს და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ. ფოთი საპორტო ქალაქია - ქვეყნის საზღვაო კარიბჭე. 90-ან წლებში ფოთი გახლდათ ქვეყნის ბეღელი. არ მინდა ცუდად გამომივიდეს, მაგრამ როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში ასეთ დიდ როლს ასრულებს ფოთი, მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს. ჩვენმა გუნდმა ძალიან დიდი პროექტი წამოიწყო, როგორიცაა სანაპირო ზოლი, რომელიც შექმნის საინვესტიციო ბიზნეს გარემოს და ინვესტორებისათვის გაცილებით საინტერესო გახდება ფოთი. გაშენდება სასტუმროები, რესტორნები, გასართობი პარკები და უამრავი რამ. რაც შეეხება მუნიციპალურ პროექტებს, ჩვენი ხელისუფლების მიერ გაკეთდა ნაგავსაყრელი, წესრიგდება ეზოები, გადაიხურა მრავალსართულიანი ბინები, კეთდება განათებები, გაკეთდა აღმაშენებლის ქუჩაზე ტროტუარები, რკალზე მალე დასრულდება ტროტუარების კეთილმოწყობა, აღმაშენებელზე გადაიხურა და ფასადი გაუკეთდა რამდენიმე საცხოვრებელ სახლს, მსგავსი პროექტები კვლავაც გაგრძელდება.

– თქვენ კი ამბობთ, რომ გაკეთდა, მაგრამ ალბათ იცით, აღმაშენებლის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლების გადახურვა და ფასადის გაკეთება მობინადრეებს ძალიან ძვირი დაუჯდათ, რადგან ზოგიერთ ადგილს დღესაც აწვიმს, მთლიანად გაუფუჭდათ გაკეთებული რემონტი. ასეთი პროექტები და მისი კონტროლი არა დეპუტატის არამედ ქალაქის ხელისუფლების პრეროგატივაა...

– მართალია ეს დეპუტატს არ ეხება, მაგრამ ჩემი გუნდის მიერ შესრულებული სამუშაოებია და ვეცდებით, ყველაფერი უფრო ხარისხიანად გაკეთდეს და გამოსწორდეს.

– რისთვის მოდიხარ პოლიტიკაში?

– სიმართლე გითხრათ, პოლიტიკაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ამ გუნდმა გადაწყვიტა წესიერი ადამიანებით დააკომპლექტოს გუნდი. მომწონს, რომ თავისუფალია ყველა სფერო. ესაა გუნდი, რომლისთვისაც კანონის უზენაესობა უმთავრესია. მე ჩემი ქალაქის პრობლემები კარგად ვიცი. ჩემი არჩევის შემთხვევაში იქნება, ვეცდები, თითეული ჩემი ამომრჩევლის ხმა ვიყო პარლამენტში და გუნდთან ერთად ქალაქის საკეთილდღეოდ დასახული გეგმების განხორციელებას ხელი შევუწყო. ვფიქრობ, „ქართულმა ოცნებამ" არჩევანი ჩემზე იმიტომ შეაჩერა, რომ ვარ პასუხისმგებლიანი, ამდენი ადამიანი დავასაქმე. ჩემი ბიზნესი ჩემს პარტნიორებთან ერთად შევქმენი ნულიდან ჭაობში. მაშინ თევზის მრეწ-

დასასრული 4- გვ.

მიწაზე საკუთრების რეგისტრაცია გამარტივდა

პირველი აგვისტოდან ძალაში მიწის რეგისტრაციის ახალი კანონი შევიდა, რეფორმა, რომლის ინიციატორი იუსტიციის სამინისტროა, უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებასა და მესაკუთრის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული.

ინიციატივამ მოქალაქეების მაღალი ინტერესი გამოიწვია, რაც პირველი თვის შედეგებითაც დასტურდება: პირველი აგვისტოდან დღემდე საჯარო რეესტრში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 45 575 განცხადება შევიდა. აქედან 12 164 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა თავად მოიძია საჭირო საბუთები და ყოველგვარი ბარიერის გარეშე მოქალაქეს მიწა წარმატებით დაურეგისტრირა. 25 743 შემთხვევაში საჯარო რეესტრმა მოქალაქის ნაცვლად თავად დაიწყო სხვადასხვა უწყებაში შესაბამისი საბუთების მოძიება და ამ განცხადებათა დიდი ოდენობა ასევე წარმატებით დასრულდება, 4 648 განცხადება კი შესწავლის პროცესშია.

„მინდა, ამ უპრეცედენტო და მოქალაქეზე ორიენტირებული რეფორმის წარმატებისათვის კვირაში 7-დღიანი და თავდადებული მუშაობისათვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საჯარო რეესტრის თითოეულ რეგისტრატორს, კადასტრისა თუ ახალი ტექნოლოგიების თითოეულ სპეციალისტს, იურისტს, არქივის, არქივირების და სკანერზე მომუშავე თანამშრომელს. როდესაც ჩვენ ამ რეფორმის კანონპროექტს ვწერდით, ვიცოდით, რომ მისი პრაქტიკაში განხორციელება დიდი გამოწვევა იქნებოდა საჯარო რეესტრისათვის. მიხარია, რომ დღეს თამამად შემიძლია, მადლობა ვუთხრა საჯარო რეესტრის თანამშრომლებს მოქალაქის ინტერესში წარმატებული მუშაობისათვის. ეს რეფორმა მთლიანად ცვლის საჯარო რეესტრს და მას მოქალაქის მეგობრად აქცევს", განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა პროექტის ერთთვიანი შედეგების შეჯამებისას.

რეფორმის დაწყების მიზეზი მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემები გახდა. პირველი აგვისტოს მონაცემებით, ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25% იყო რეგისტრირებული.

რეფორმას დადებითად აფასებს ექსპერტი დავით თამარაშვილი: „მიწის პატარა ფართობების მესაკუთრეებს კარგი შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ ამ პროგრამით და საკუთრების რეგისტრაციის პროცესი დააჩქარონ. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი ცალსახად ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიწის ბაზრის განვითარებას, რაც აგროსექტორის განვითარების ერთ–ერთი წინაპირობაა. იმედი მაქვს, ეს პროცესი მოიცავს ქართულ მიწებს მთელი ქვეყნის, მათ შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიებიდან წამოსულ დევნილებს აქვთ მიწის ნაკვეთები და საკუთრების უფლება, რომელსაც შესაბამისი რეჟიმით სახელმწიფო რეგისტრაცია სჭირდება, რაც ქართულ სახელმწიფოს ადრე თუ გვიან მისცემს იურიდიული ბრძოლის წინაპირობებს, რადგან რაც ფაქტობრივადაა დათმობილი, ის იურიდიულად არ უნდა იქნეს აღიარებული",– აცხადებს ის.

სიახლის შედეგად დოკუმენტებში არსებული უმნიშვნელო ხარვეზები(გვარის შეუსაბამობა, უზუსტობა ასოებში და ა.შ.), რის გამოც ზოგიერთი მოქალაქე მიწის რეგისტრაციას წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა, ხელისშემშლელი გარემოება აღარ არის, რასაც ფერმერი თემურ მარგალიტაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. „აქამდე ქაოტურად ხდებოდა მიწის რეგისტრაცია, ძალიან დიდი დრო მიჰქონდა ერთი დოკუმენტის მოწესრიგებას. მაგალითად, წინაპრების დანატოვარი მიწები დღეს ძალიან ბევრს ისევ არ აქვს დარეგისტრირებული. კარგი შანსია ჩვენთვის. ვაპირებ, გამოვიყენო და ყველა დოკუმენტი წესრიგში მოვიყვანო",–ამბობს მარგალიტაშვილი.

საჯარო რეესტრი რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებს სხვადასხვა უწყებიდან მოქალაქეების ნაცვლად თავად იძიებს. ამასთან, სახელმწიფო მესაკუთრეებს დავების მოგვარებაშიც ეხმარება. რეფორმის ფარგლებში მოქმედებს სანოტარო მედიაცია, რომელიც მოქალაქეებს წარმოქმნილი დავების მარტივად, სასამართლოს გარეშე მოგვარებას სთავაზობს.

ასევე, რეფორმის ფარგლებში მოქმედებს ფაქტების კონსტატაციაც: იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტით მიწის ნაკვეთის მდებარეობა, საზღვრები და ა.შ. არ დგინდება ან სადავო სიტუაცია ჩნდება, საჯარო რეესტრი ფაქტების დასაზუსტებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროს თავად მიმართავს და პროცესში ამ უწყების წარმომადგენელს რთავს.

პროექტის ფარგლებში უფასოდ ისარგებლებთ შემდეგი მომსახურებებით:

დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება; მედიაცია, მათ შორის, სანოტარო მედიაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია; საკადასტრო აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება (რაც გულისხმობს ელექტრონული ნახაზის გარეშე არსებული მონაცემების დაზუსტების მიზნით ცვლილების რეგისტრაციას უფასოდ). საკუთრების უფლების დადგენის პროცესში ჩართულია მუნიციპალიტეტი როგორც ადგილზე არსებული ინფორმაციის ყველაზე ეფექტური წყარო.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისთვის მოქალაქეებს შეუძლიათ, მიმართონ იუსტიციის სახლებს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებსა და საზოგადოებრივ ცენტრებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: 2 405 405 ან ელექტრონული ფოსტით: info@napr.gov.ge.

ფოთელი კანდიდატების შეხედულება და დაპირებები ნავსადგურის თემაზე

ივეტა პაჭკორია
ფოთი

საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილი მცირე დროის მიუხედავად, ფოთის 15 მაჟორიტარი კანდიდატიდან საარჩევნო კამპანია მხოლოდ რამდენიმემ დაიწყო.

კანდიდატთა დაპირებები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

საპორტო ქალაქისადმი მიდგომაც თითქმის ერთნაირია; ერთხმად თანხმდებიან ფოთის სტატუსის მინიჭებაზე. დღეისათვის ყველაზე აქტიური თემა, საკონტეინერო ტერმინალების შესაძლო დახურვა, რომლის შემდეგ, 5000-ამდე ადამიანი უმუშევარი დარჩება.

,,ალასანია-თავისუფალი დემოკრატები"-ს მაჟორიტარი კანდიდატი, თენგიზ ჩაკვეტაძე სწორედ მონოპოლიების შეზღუდვაზე საუბრობს: „ჩემი არჩევის შემთხვევაში, ფართო საზოგადოების ჩართულობით, ქალაქს განესაზღვრება სტატუსი. ლობირებას გავუწევ მონოპოლიების შეზღუდვას, რათა საკონტეინერო ტერმინალებმა გააგრძელონ კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობა. მოვითხოვ, ბიზნესში ეკონომიკურ ამინისტიას და ლიბერლიზაციას, რესტრუქტურიზაციას".

„პატრიოთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის მაჟორიტარი კანდიდატის, ფრიდონ კვარაცხელიას თქმით, „ პორტიდან შემოდის მხოლოდ მიწის გადასახადი, ეს არის უსამართლო განაწილება. მე მაწუხებს ჯანმრთელობის გაუარესების თემა, კერძოდ, ფოთში მომატებულია ზოგადად ონკოდაავადებები, განსაკუთრებით კი ფილტვების, რომელსაც პორტიდან ალუმინის ოქსიდის შემოსვლა იწვევს. უნდა ვაიძულოთ პორტი, რომ ალუმინის ოქსიდი სხვა ქვეყნის მსგავსად, შეფუთული ფორმით შემოიტანონ".

„რესპუბლიკელი კანდიდატი" ლელა ებრალიძე, მიიჩნევს, რომ პორტი იქნება ქალაქის ნაწილი, როდესაც ის განახორციელებს სწორ პოლიტიკას ბიზნესის მიმართ„გაუგებარია ხელისუფლების პოლიტიკა, როდესაც ერთ ნაწილში ინვესტორების მოზიდვაზეა საუბარი, მეორე ნაწილში კი, პორტს ავიწროებ. ეს არის კერძო სტრუქტურა. ცუდ მდგომარეობაშია ფოთის გადამზიდავი კომპანიები, მაგრამ ეს არ არის მერიის პრეროგატივა. ბიზნეს არეგულირებს ბაზარი."

„ქართული ოცნების" მაჟორიტარი კანდიდატი, ირაკლი ხახუბია, წინა მთავრობას პორტის არასწორად გასხვისებას ახსენებს. „პორტი არ უნდა გაყიდულიყო, 2 მილიარის ღირებულების ობიექტი 110 მილიონად გაიყიდა. ჩემი არჩევის შემთხვევაში, ყველაფერს ვიზამ იმისათვის,რომ ადამიანები უმუშევარი არ დარჩნენ, თითეულ მოქალაქეს დავუდგები გვერდით."

„ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი დეპუტატი ბექა ბასილაია პორტის გასხვისებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და ფიქრობს, რომ ამ შეთანხმებით ბიუჯეტში საკმაო თანხა შევიდა.„პორტი ფოთის არასდროს ყოფილა, ის სახელმწიფო საკუთრება იყო. მისი გასხვისებით, მილიონობით ლარი შევიდა ბიუჯეტში. ამავე დროს, გასხვისების შემდეგ ხომ არ დახურულა?! ის ფაქტი, რომ სამუშაო ადგილები მცირდება, არ არის ახალი, უნდა გაჩნდეს სხვა ალტერნატივა, რომ ხალხი უმუშევარი არ დარჩეს."

„ეროვნული ფორუმის" მაჟორიტარობის კანდიდატი, ოთარ ხარჩილავა საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულია და არსებული პრობლემების შესახებ ფოთელების ხელმოწერების შეგრობას აპირებს: „სამთავრობო დონეზე უნდა მოხდეს საკითხის მოგვარება. ფოთის მოსახლეობაში უნდა შეგროვდეს ხელმოწერები 50 +1 ფორმატით, რომ ეწინააღმდეგებიან მონოპოლიზაციას. მე ამ საკითხს პარლამენტში საკანონმდებლო დონეზე დავაყენებ და ყველანაირად დავიცავ იმ ადამიანებს, რომლებიც მონოპოლიის გზით კარგავენ სარჩოს."

ვინ საიდან მოდის

"ქართული ოცნების მაჟორიტარი კანდიდატი, ირაკლი ხახუბია, განათლებით ეკონომისტია. 2003-2004 წლებში ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტში მუშაობდა. მოგვიანებით, კერძო ბიზნესით დაკავდა. დღეისათვის, რამდენიმე კომპანიაში აქვს წილი. ხახუბიამ 2012 წელს პარტია „ნაციონალურ მოძრაობას" 10 ათასი ლარი შესწირა.

„ეროვნული ფორუმის" მაჟორიტარობის კანდიდატი ოთარ ხარჩილავა პროფესიით სამართალმცოდნეა. წლების მანძილზე

„შპს „ეგრისი პლიუსის" გენერალური დირექტორი იყო, 2013 წელს კი, მერის თანაშემწე კულტურის საკითხებში. 2014 წლიდან დღემდე საკრებულოს წევრია.ის 2014 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარეც გახლდათ.

„ალასანია-თავისუფალი დემოკრატები"-ს მაჟორიტარი კანდიდატი თენგიზ ჩაკვეტაძე პროფესიით ინჟინერ – ეკონომისტია, კანდიდატობამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით. მისი პარტიული მოღვაწეობა სამ წელს ითვლის.

„რესპუბლიკელი" კანდიდატი ლელა ებრალიძე, პროფესიით ჟურნალისტია, მუშაობდა არასამთავრებო ორგანიზაციებში, საქართველოს ანტიკორუციული ბიუროში, საქართველოს რკინიგზაში, თბილისის მერიისა და საკრებულოს საინფორმაციო სამსახურის უფროსად, 1999 წელს სამეგრელოს რეგიონში ერთ-ერთი პირველი დეპუტატობის კანდიდატი ქალი იყო.

„პატრიოთა ალიანსი-გაერთიანებული ოპოზიციის" მაჟორიტარი კანდიდატი, ფრიდონ კვარაცხელია პროფესიით ექიმია, პოლიტიკაში ეროვნული მოძრაობიდან მოვიდა, თუმცა აქტიურად 2012 წლის არჩევნებიდან არის ჩართული.

„ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატი, ბექა ბასილაია პროფესიით საერთაშორისო სამართლის სპეციალისტია. მუშაობდა პროკურატურაში განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელად ფულის გათეთრების საკითხებში. 2012 წლის შემდეგ, საადვოკატო საქმიანობას ეწევა, არის თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას ადვოკატი.

შეფასებები

სამართლიანი არჩევნების კონსულტანტის, ნინო ლომჯარიას აზრით, დეპუტატების დაპირებები სცდება მათი კომპეტენციის ფარგლებს. „მაჟორიტარი დეპუტატი არა მარტო ერთი ქალაქის ან რეგონის, არამედ მთელი საქართველოს წარომამდგენელია. ხშირად ადგილობრივი თვითმართველობის ფუნქციებში იჭრებიან, რითაც შეცდომაში შეჰყავთ ამომრჩეველი".

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი– დემოკრატიის ფუნდამეტი" ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ირაკლი ხახუბია: ,,არასოდეს ვყოფილვარ კაცის კაცი...,,

დასაწყისი მე-3 გვ.

ველობა ფოთში მკვდარი იყო. ყოველწლიურად 200 000 ლარს სესხად ვიღებდი და ვაძლევდი ქართულ გემების მოსაწესრიგებლად. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ეს დიდი კომპანიები, ეს გემები არ იქნებოდნენ დღეს. ვფიქრობ, თევზის მრეწველობა ჩვენი წყალობით აღორძინდა ფოთში.

–თქვენი არჩევის შემთხვევაში რას ისახავთ პრიორიტეტად?

– ჩვენი ქალაქი აუცილებლად უნდას გახდეს საპორტო და საკურორტო ქალაქი. აუცილებელია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები, ქალაქს აუცილებლად უნდა ქონდეს დამოუკიდებელი ინსტიტუტი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სამუშაო ადგილები გაჩნდეს. სამუშაო ადგილებისთვის კი აუცილებელია კერძო სექტორის განვითარება.

– კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

– ყველა კანდიდატს, მაგრამ ჩემი ჭკვიანი და გამოცდილი ფოთელების იმედი მაქვს. ისინი ყველაზე ღირსეულს აირჩევენ და იმედია, ეს მე ვიქნები.

– ეროვნული ფორუმის ფოთის მაჟორიტარმა კანდიდატმა ოთარ ხარჩილავამ პატიმართა ოჯახების მოსყიდვაში დაგადანაშაულათ - ხახუბია კარ-დაკარ დადის პატიმრების ოჯახებში და ეუბნება ხმას ხარჩილავას კი არა მე მომეცით და თქვენს პატიმრებს პირობით გავუშვებო".

–ვის გავუშვებო? მე რა უფლება მაქვს პატიმარი გავუშვა, პროკურორი არ გახლავართ. ხარჩილავას სულელურ განცხადებებზე კომენტარს არ გავაკეთებ.

–როგორ გხვდებათ ფოთელი და გურული ამომრჩეველი და ყველაზე ხშირად რა კითხვას სვამენ?

–ძირითადად მოსახლეობას აწუხებს კინო-თეატრის მშენებლობის დამთავრება, აუზის მშენებლობა, სტადიონი, უმთავრესი პრობლემა დასაქმებაა. ძალიან დადებითად ვიმუხტები ყოველი შეხვედრისას, ძალიან დიდ პოზიტივს ვგრძნობ მათგან. ძალიან ბევრი საერთო მაქვს გურიასთან, ბევრი მეგობარი მყავს, ბიზნესშიც შეხება მქონია, ჩემი შვილის ნათლია გურიიდანაა. ძალიან თბილი შეხვედრებია. ამისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითეულ ჩემს მომხრეს. ამომრჩეველთა ყველა პრობლემას ინიშნავ და ჩემი არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გავაკეთებ იმისათის, რომ ყველამ ერთად ავაღორძინოთ ჩვენი ქალაქი და მინიმუმამდე დავიყვანოთ პრობლემები. ფოთი ამის ღირსია ნამდვილად. თუმცა, მარტო მე არ ვინიშნავ, ნაციონალებიც დაგვყვებიან უკან და კამერით იწერენ ჩვენს ყველა შეხვედრებს.

–ფოთში ამბობენ, რომ ქალაქის მერი ირაკლი კაკულია ფულით სავსე ჩანთით დარბოდა, დეპუტატად ირაკლი ხახუბია რომ წამოეყენებინათ. (უნდა ითქვას, რომ კითხვამ დეპუტატობის კანდიდატი ძალიან გააღიზიანა, ავტ.)

– „ქართული ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატი ვარ. ჩვენი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყველა ოჯახში მივიდეს კეთილდღეობა. ადრე პიროვნებები ერთპიროვნულად წყვეტდნენ, ვინ იქნებოდა მერი, დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარე. ჩვენი გუნდი პოლიტსაპჭოზე იხილავს ყველა საკითხს, ერთად ხდება გადაწყვეტილების მიღება და არა ერთპიროვნულად. არასოდეს ვყოფილვარ „კაცის კაცი". ბედნიერი ვარ, რადგან კალამი რომ კალამია, ის არ მოუთხოვია არავის რამის სანაცვლოდ. უბრალოდ, ვერ წარმოუდგენიათ დღეს ასე თუ ხდება. ერთი თვით ადრე შემომთვაზეს კანდიდატობა. მითხრეს, რომ შეისწავლეს ჩემი ბიოგრაფია, ასე შეისწავლეს ალბათ ყველასი. ერთ-ერთი ტელევიზიიდან ვუყურე, ბასილაიას როგორ ეუბნებოდა ბიზნესმენი, როგორ შეუყვანა ღამის 2 საათზე ნოტარიუსი და როგორ გადააფორმებინა ქონება. ასეთი კაცი მოდის და მორალს უკითხავს ფოთელებს, თუნდაც კემულარია, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების კუთვნილი 2 მილიონი შეჭამა. ასეთი ადამიანებისგან ჩემზე აუგის თქმას ვერ ავიტან.

ფრიდონ კვარაცხელია: „ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს, რომელი დეპუტატი რა ძალასთან დგას„

ივეტა პაჭკორია
ფოთი

მაჟორიტარი კანდიდატების რუბრიკის სტუმარი, პროფესიით ექიმი, „პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებული ოპოზიციის" მაჟორიტარობის კანდიდატი ფრიდონ კვარაცხელია პოლიტიკაში მეტნაკლებად ყოველთვის იყო ჩართული. იგი იმ 17 ახალგაზრდას შორის ერთ - ერთი გახლდათ, ვინც 1989 წლის 10 აპრილს შავი სამკლაურით გამოჩნდა ქალაქის ცენტრში. აქტიურად პოლიტიკაში 2012 წელს ჩაება, „ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე იყო.

–ჩემი დიდი სურვილია, ფოთი გამოვიდეს გუბერნიიდან და პირდაპირ ცენტრალურ დაფინანსებაზე გადავიდეს და გვეცოდინება ფოთისთვის განკუთვნილი კონკრეტული თანხა და მას გუბერნატორი არ გაანაწილებს. მეორე საკითხია, რომ მერი გუბერნატორის გარეშე ლურსმანს ვერ მიაჭედებს. ეს ბიუროკრატიული ფორმები უნდა მოიხსნას. აუცილებლად უნდა გაირკვეს ფოთის პორტთან დამოკიდებულება. არ ვამბობ როგორ, რა ფორმით მოხდა მისი გასხვისება, ეს ცალკე კვლევის თემაა, მაგრამ ვერ იპოვით ვერც ერთ საპორტო ქალაქს მსოფლიოში რომელიც ასეთ მდგომარეობაში იყოს. პორტიდან შემოდის მხოლოდ მიწის გადასახადი და ეს არის უსამართლო განაწილება. ქალაქისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალი წყალგამყოფი ხიდის აშენება. რაც შეიძლება პორტის თანადაფინანსებით მოხდეს. არსებული ხიდი ჯერ მხოლოდ 80 წლისაა, მაგრამ რაც ჩრდილოეთის ტოტი ხელოვნურად გაიჭრა, ეკოლოგიური წონასწორობა დაირღვა და ზღვა ნელ-ნელა მოიწევს ქალაქისაკენ, ნაბადისკენ კი უკან იხევს. რიონის შესართავთან იპოდრომი იყო, ეს ტერიტორია უკვე აღარ არსებობს, ზღვამ წაიღო. ეს საკითხი უნდა გამოსწორდეს, რაც ჩემი ახირება კი არ არის, მოსაგვარებელი პრობლემაა. დღეს ბულვარი რომ შენდება, თუ ამ ეკოლოგიურ წონასწორობას არ აღვადგენთ, პორტის მხარეს ნელ- ნელა ჩაიტანს.

– როგორ გგონიათ, პორტი ახალი ხიდის მშენებლობას დააფინანსებს?

–პორტი წელიწადში აკვატორიის, ზღვის ნატანი მასალის გაწმენდასა თუ ზღვის დონის გაღრმავებაზე 2 მილიონ ლარს ხარჯავს. შეიძლება ნავსადგური თანაინვენსტიციაზე დავითანხმოთ, რადგან მას ახალი ხიდის შემდეგ ყოველ წელს არ მოუწევს ამის გაკეთება. მტკივნეული თემაა ასევე მუნიციპალური საავადმყოფოს უქონლობა. რაც ფოთში გვაქვს, ეს არაა საავადმყოფო, ეს არის მიმღებგამანაწილებელი პუნქტი. არ მინდა, დღევანდელ საკრებულოს ამაგი დავუკარგო, უფრო სწორად,საკრებულოს ერთ-ერთი წევრის მონდომების ხარჯზე კეთდება მუნიციპალური საავადმყოფო. თანაგუნდელებთან ერთად ვიბრძოლებ, ფოთის ბიუჯეტი დარჩეს ქალაქში.

– დაპირების მიუხედავად, ეს ვერ შეძლო ვერც ერთმა მმართველობამ და დეპუტატმა...

– არ ვამბობ, რომ ადვილი მისაღწევია და გავაკეთებ. ვამბობ, რომ ჩემს გუნდთან ერთად ვიბრძოლებ. ცალკე დეპუტატი ვერაფერს გახდება. თუ ამ პრობლემის მოგვარება უნდოდა ოცნებას, ამას უკვე გააკეთებდა. შესაბამისად, ვერც ხახუბია გააკეთებს, იგივე სიტუაციაა „ნაცების" შემთხვევაში, ასე რომ ვერც ბასილაია მოაგვარებს ამ პრობლემას. მე ჩემს გუნდში დარწმუნებული ვარ მხარს დამიჭერენ და გვერდით დამიდგებიან. თუ სოლიდურად ვიქნებით პარლამენტში წარმოდგენილი და ალბათ ასეც იქნება, დავსვამ ამ საკითხს. საბოლოო ჯამში, ქვეყანა წავა დეცენტრალიზაციისაკენ.

–ამომრჩევლის მხრიდან ყველაზე ხშირად დასმული კითხვა...

–უმუშევრობა, დაბალი სოციალური ფონი ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას.

– როგორ გგონიათ, სად შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში გამოსავალი?

–უპროცენტო სესხები მწირე მეწარმეებს. თან უგზავნი მსესხებელს ბუღალტერს, იურისტს და ეხმარები ბიზნესის აწყობაში, ამავდროულად ეს არის კონტროლის მექანიზმიც, რომ აღებული სესხი სხვა რამეზე არ გახარჯოს.

– კონკურენტად ვის მიიჩნევთ?

–პიროვნულად ყველას მივეთ-

სალმები. უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციული რესურსი ხმარდება ერთ კანდიდატს, მაგრამ ხალხს მოვუწოდებ - გააკეთონ სწორი არჩევანი. თუ მოსწონდათ წინა 9 წელი, მისცენ ხმა ნაციონალებს, თუ მოსწონთ დღევანდელი ხელისუფლება, მაშინ ხმა ოცნების კანდიდატს მისცენ. მინდა შევახსენო ამომრჩეველს, რომ მიშამ ჩაიბარა სამ მილიარდიანი ვალით ქვეყანა, დაგვიტოვა 12 მილიარდი, დაგვიკარგა ტერიტორიის 40 %, 30 ათასი პატიმარი, 300 ათასი პრობაციონერი, თუ ამ ხელისუფლების უნიათობა მოსწონთ, მისცენ ოცნებას ხმა,თუ არ ჩავთვლით ჯანდაცვის პროგრამას, მაგრამ ეს მოღვაწეობის პირველ წელს გააკეთეს, ამომრჩეველი უნდა დაფიქრდეს, რომელი დეპუტატი რა ძალასთან დგას.

–რესპუბლიკური პარტიის დეპუტატობის კანდიდატმა ლელა ებრალიძემ თქვა, რომ 2012 წელს შტაბის თავმჯდომარედ მან წარგადგინათ, თუმცა დეპუტატობის კანდიდატზე რომ მიდგა არჩევანი, თქვენ მის ზურგს უკან მოლაპარაკება სხვა კანდიდატთან დაიწყეთ...

– კი, ასე იყო, ლელამ წარმადგინა შტაბის თავმჯდომარედ მაგრამ არავის ზურგს უკან არ შევთანხმებულვარ არავისთან, როგორც შტაბის ხელმძღვანელი დამიბარეს თბილისში, რეგიონების ხელმძღვანელი იყო გია ხვედელიძე და ის წყვეტდა მაჟორიტარების დანიშვნას, თუმცა, გადაწყვეტილებას იღებდა ბიძინა ივანიშვილი და დამაყენეს ფაქტის წინაშე, კაბინეტში დამახვედრა ეკა ბესელია და მითხრა, ეს არის თქვენი კანდიდატიო. მე როგორ უნდა მოვქცეულიყავი, როდესაც გადაწყვეტილება მიიღო ბიძინა ივანიშვილმა და გაახმოვანა ხვედელიძემ. იცის ქალბატონმა ლელამ, ვინ წყვეტდა მაჟორიტარების ბედს და ჩვენ ნუ გვაბრალებს.

–ოცნებას რატომ გაეყარეთ?

– მოგწონთ ოცნება? მე სამ თვეში ვნახე მათი რეალური სახე და მაშინვე დავტოვე იქაურობა.

კოლხეთის ეროვნული პარკი-ტურისტთა დაინტერესების საგანი

ქეთი ჩეგანი
ფოთი

საქართველოში ტურიზმი თითქმის ყოველწლიურად იზრდება. წელს კოლხეთის ეროვნულ პარკში, შარშანდელთან შედარებით, 19 %-ით გაზრდილია შემოსული ტურისტების რაოდენობა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია 2016 წლის ზაფხულის სეზონს მომზადებული შეხვდა. ტურისტები ვიზიტორთა ცენტრს ყოველწლიურად სტუმრობენ. თავდაპირველად ვიზიტორები ვიზიტორთა ცენტრში მიდიან, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციის ეზოში და იქ კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ აწვდიან ინფორმაციას.

ტურიზმთან დაკავშირებით ისაუბრა კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსმა ხათუნა ქაცარავამ. მისი თქმით, დაინტერესება ძალიან დიდია და წინა წლებთან შედარებით ყოველწლიურად მატება შეიმჩნევა: „წელს 9 თვის მონაცემებით, კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში შემოსულია 20 000-ზე მეტი ტურისტი, რაც საკმაოდ დიდი მატებაა და ჯერ კიდევ, რამდენიმე თვე გვაქვს წინ. წინა წლებთან შედარებით შემოსავლებშიც კარგი ზრდა გვაქვს. ჩვენთან შემოსული ტურისტებიდან ჭარბობს ქართველები, თუმცა გვყავს ძალიან ბევრი ვიზიტორი ევროპის ქვეყნებიდან და ასევე ამერიკიდანაც".

ვიზიტორთა მომსახურების უფროსის ნინო გუჯაბიძის განმარტებით „შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ ძალიან მოსწონთ მომსახურეობა, რასაც სთავაზობს კოლხეთის ეროვნული პარკი, არსებობს გარკვეული სტატისტიკა, გამომდინარე ანკეტებიდან, რომელსაც ისინი ავსებენ და იქაც საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს უთითებენ პროცენტულად, ვიზიტორთა კმაყოფილების ფაზაში. ჩვენ მაქსიმალურად ვუხსნით მათთვის საინტერესო ინფორმაციას და ვთავაზობთ ტურებს".

კოლხეთის უძველესი ტერიტორია მითების და ლეგენდების საუფლოა, რადგან მისი ისტორიის სათავეები ჯერ კიდევ ელინური პერიოდიდან იწყება. კოლხეთის უძველესი მიწა ხომ სუბტროპიკული ლანდშაპტით გახლავთ მდიდარი. კოლხეთის ეროვნული პარკი გამოირჩევა მთელი რიგი იშვიათი მცენარეებით. ეროვნული პარკის ტერიტორია მიმდინარე ზღვის აკვატორიასთან ერთად, წარმოადგენს ადგილობრივი და გადამფრენი ფრინველების საბინადროს, დასაზამთრებელ და შესასვენებელ ადგილს. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილია ბუნებრივი ჭარბტენიანი ლანდშაფტები, რომლებიც დიდი მნიშვნელობის მქონე ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ბუნებრივია, აღნიშნულ მემკვიდრეობას საზოგადოების ყურადღება და დაფასება სჭირდება. საბედნიეროდ, კოლხეთის უძველესმა ტერიტორიამ მიიპყრო მსოფლიო ყურადღება. მან სრულიად დააკმაყოფილა რამსარის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმი, რის შედეგადაც 1997 წელს, კოლხეთის ჭარბტენიან ეკოსისტემებს მიენიჭა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სტატუსი. 2000 წელს კი,კოლხეთის ეროვნულმა პარკმა დაამყარა ურთიერთობა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ პარკთან. კოლხეთის ეროვნული პარკი, უპირველეს ყოვლისა, ქართველი საზოგადოებისთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი და აქტუალური, ეს ქართული სიმდიდრეა, იგი მართლაც უნიკალურია თავისი ფუნქციით და დანიშნულებით. პარკი თავისი ბუნებით და შეიძლება ითქვას, იდეითაც, შექმნილია იმისთვის, რომ სახელმწიფოს შეუნარჩუნოს ბუნება, ხოლო საზოგადოებას მისცეს საშუალება, ნახოს უძველესი სამყარო. მერწმუნეთ, თანამედროვე მსოფლიოში ეს საუკეთესო წინაპირობაა იმისთვის, სახელმწიფომ ტერიტორიის დიდი ნაკადი მოიზიდოს, თუ ნახავთ პარკის მნიშვნელობას, თვითონ სიტყვა „კოლხეთი" არის დაკავშირებული დიდ ისტორიულ მითთან, იასონთან და არგონავტებთან, რომელთაც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთს მოაშურეს. ამჟამად პალიასტომისა და პარკის, კოლხეთის უბნის ტერიტორიები მოიაზრება ელინური ბერძნების ადგილსამყოფელად. კოლხეთის ნაკრძალი 1935 წელს დაარსდა და მისი

ფართობი დაახლოებით 29 000 ჰა-ს მოიცავს. ხმელეთის ნაწილსა და ზღვის აკვატორიას, კოლხეთის ეროვნული პარკის განვითარებას მოჰყვა ტურისტების მოზიდვა, რაც მერწმუნეთ, ფრიად მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული პარკის, ისე ჩვენი ქალაქისთვის. ჯერ კიდევ 2005 წელს, გაზაფხულზე, კოლხეთის ეროვნულმა პარკმა მონაწილეობა მიიღო „აბრეშუმის გზის" ქვეყნების ტურისტულ გამოფენაში, სადაც წამოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების - აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, იტალიისა და აშშ-ს წარმომადგენლები, რომლებიც დამთვალიერებლებს თავაზობდნენ ტურპროდუქტებს. სასიხარულო და საამაყოა, რომ მაშინ, კოლხეთის ეროვნულმა პარკმა უდიდესი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, კოლხეთის ეროვნული პარკი ახლაც მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ტურისტულ გამოფენებზე. დაახლოებით 2006 წლიდან, კოლხეთის ეროვნულმა პარკმა შექმნა გარკვეული ინფრასტრუქტურა, რამაც საზოგადოებას მისცა საშუალება, კიდევ უფრო ახლოს დაენახათ აღნიშნული ტერიტორიის ფუნქცია და მნიშვნელობა, იგი გადაიქცა ტურისტების მისაღებ და დასასვენებელ ადგილად. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. მისი განვითარებისთვის საჭიროა მთავრობის, საზოგადოების, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება.

კოლხეთის ეროვნული პარკი ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ ვიზიტორებს ყოველწლიურად მასპინძლობს. ისინი ძალიან კმაყოფილნი რჩებიან, არიან ისეთი ვიზიტორებიც, რომლებიც მეორედ და მესამედ სტუმრობენ კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს. კოლხეთის ეროვნულ პარკს ასევე სტუმრობენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები. მათ ესაუბრება ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, რომელიც უტარებს მოკლე პრეზენტაციას პარკის და აქაური ღირებულებების შესახებ

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრა იმართება 08.00 საათიდან 20.00 საათამდე

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე



ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის მონაწილე შეიტანოს ხელფასის მიმწოდებლისგან კონტროლის წესის წარმოდგენილი პირადობის მოწმობა ან ხელმოწერილების მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის მონაწილეობის აღრიცხვის მოწმობა) და გაიარეთ ბარკოდის წაკითხვის პროცედურა.

თუ ბლანკზე, რომ ბალთა მანიპულაცია, ან მოხდებოდ ჯანსაღმყოფი მოსახლეობის ეფექტია

ბარკოდის მონაწილეს პროცედურის გავლის შემდეგ მიიღო სარეგისტრაციო ბარათი და ეწოლებოდეს წარმოდგენილი პირადობის მოწმობა ან ხელმოწერილების მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის მონაწილეობის აღრიცხვის მოწმობა) გაიარეთ ბარკოდის



მანიპულაციისთვის თანის თვის მოთხოვნისთვის ან მოხდებოდ ჯანსაღმყოფი მოსახლეობის ეფექტია

ამომრჩეველია საარჩევნო ოქმები ყველა ეტაპზე გაიგოდეთ ხელმოწერა;
მოიღეთ ჩვენებისაგან ხელფასი და ხელმოწერილი დამოწმებული საარჩევნო ხელფასები;
კენჭისყრის კაბინაში მყოფობისას ოქმებიდან საარჩევნო ერთი საარჩევნო ხელფასის ჩაგდება ნიშნავს;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ხელფასები, ეფლეხი გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო ხელფასის წარმომადგენლისა, პირისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ გსურთ ხელმოწერა ბიულეტენი, მიიღეთ ხელფასის ქუთაისის თავმჯდომარეს,გადადეთ ბიულეტენი და მოიტანეთ ახალი ხელფასის ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ორივე ხელფასები კონვერტი და დაკეცილი საარჩევნო ხელფასები მოათავსეთ ბოქსში;
ხელფასები კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

ქენჯისყრაში მონაწილეობის შემდეგ, მიხედეთ, დაბეჭდეთ ხელფასი ფანი

ფასი ხელფასი/
ხელფასიანობისთვის ფასდაკლება – 2510051

დემოკრატიის ხერხები!

ზოდიაქოს ნიშანმა განლაგება შეიცვალა. 2000 წლის შემდეგ პირველად, NASA-მ ზოდიაქოს ნიშნები განაახლა

ბოლო ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში, ზოდიაქოს ნიშნები დედამიწის მიმართ, მთვარისა და მზის განლაგებითაა განსაზღვრული - ცა ახლა უფრო განსხვავებულია, ვიდრე მას უძველესი ასტროლოგები აკვირდებოდნენ.

ამიტომ, დედამიწის მოსახლეობის 86% მცდარი ჰოროსკოპის ნიშანს ატარებდა.

დაინტერესებულხართ ოდესმე, რატომ არ დაემთხვა სრულად თქვენი მახასიათებლები თქვენსავე ასტროლოგიურ პროფილს? შ-ს მიერ განახლებულ ზოდიაქოს ნიშნებს თუ დააკვირდებით, გაგაოცებთ მათი სიზუსტე.

განახლებული ზოდიაქოს ნიშნები ასე გამოიყურება:

თხის რქა - 20 იანვარი - 16 თებერვალი
მერწყული - 16 თებერვალი - 11 მარტი
თევზები - 11 მარტი - 18 აპრილი
ვერძი - 18 აპრილი - 13 მაისი
კურო - 13 მაისი - 21 ივნისი
ტყუპები - 21 ივნისი - 20 ივლისი
კირჩხიბი - 20 ივლისი - 10 აგვისტო
ლომი - 10 აგვისტო - 16 სექტემბერი
ქალწული - 16 სექტემბერი - 30 ოქტომბერი
სასწორი - 30 ოქტომბერი - 23 ნოემბერი
მორიელი - 23 ნოემბერი - 17 დეკემბერი
მშვილდოსანი - 17 დეკემბერი - 20 იანვარი

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.